

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით  
ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების  
კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თელავი

2016 წლის 22 თებერვალი

თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე: ნუგზარ ცაძიკიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნანა ხვისტანი, ნიკოლოზ  
მაისურაძე, რომან ბოტკოველი,  
გელა სეხნიაშვილი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს იურისტი ლევან საჩიშვილი,  
თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის  
გამგეობის ქონების მართვის განყოფილების  
უფროსი, ბიძინა ხატიაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წელს  
განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ“.

მომხს: ნ. ცაძიკიძე

მოისმინეს: 1. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ”.

მომხს: ნ. ცაძიკიძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა 2015 წლის შესყიდვებში, რომელიც დაკავშირებული იყო ტენდერებში გამარჯვებული ზოგიერთი ორგანიზაციის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებასთან.


ამასთან დაკავშირებით, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ყველაფერი გააკეთა, რათა ეს პრობლემები მყისიერად გადაჭრილიყო.

მიუხედავად ამისა, დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წელს განხორციელებული შესყიდვების ეფექტურობა.

აზრი გამოთქვას: ნანა ხვისტანმა, ნიკოლოზ მაისურაძემ.

გადაწყვიტეს: „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის 2015 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ” გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



ნუგზარ ცაძიკიძე